ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში აკად. ევგენი ხარაძის სახელობის ახალგაზრდა მეცნიერის ჯილდოს მოსაპოვებლად კონკურსის პირობები

განცხადებების მიღების პერიოდი: 13 - 27 ოქტომბერი (17:00 საათამდე), 2025 წელი

დათქმა: დაინტერესებული პირი ვალდებულია განცხადებაში ხარვეზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეავსოს შესაბამისი მითითების მიღებისთანავე, არაუგვიანეს განცხადების მიღების დღისა.

განცხადებების განხილვის ვადა: 28 - 30 ოქტომბერი, 2025 წელი

განცხადების მიღების ფორმა: ელექტრონულად, ელ-ფოსტაზე: info@abao.ge

ჯილდოს სახე: ფულადი ჯილდო - 2 500 ლარი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით) და ლაურეატის დიპლომი

ჯილდოს რაოდენობა: 1

ჯილდოს გაცემის ინტენსივობა: ერთჯერადი

საკონკურსო კომისია: ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭო

დაჯილდოვების თარიღი: 31 ოქტომბერი, 2025 წელი.

ჯილდოს მინიჭების პირობები:

ა) დაინტერესებულ პირს ასტრონომიაში ან/და ასტროფიზიკაში აკად. ევგენი ხარაძის სახელობის ახალგაზრდა მეცნიერის ჯილდო შესაძლებელია მიენიჭოს, თუ:

ბ) არის ასტრონომიაში ან/და ასტროფიზიკაში საკონკურსოდ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი/თანაავტორი;

გ) საკონკურსოდ წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაცია შესრულებულია საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან/და უმაღლეს საგანმანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საკონკურსოდ წარმოდგენილი პუბლიკაცია გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემაში ან/და განცხადების წარმოდგენის დღის მდგომარეობით შესაბამისი გამოცემის მიერ დადასტურებულია ამ პუბლიკაციის გამოსაქვეყნებლად მიღება („accepted for publication“);

ე) საკონკურსოდ წარმოდგენილი პუბლიკაცია გამოქვეყნების პერიოდი არის: 01.01.2025 წ. – 27.10.2025 წ.;

ვ) მისი ასაკი, საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით, არ აღემატება 40 წელს;

ზ) არის საქართველოს მოქალაქე.

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №01-01/22, 13.10.2025 წ.

დათქმა: *უპირატესობა მიენიჭება პირს, რომლის ავტორობით შექმნილი საკონკურსოდ წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებულია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემაში, ხოლო თუ ასეთი პუბლიკაცია შექმნილია რამდენიმე ავტორის მონაწილეობით - დასტურდება ამ პირის მნიშვნელოვანი წვლილი ერთობლივად შექმნილ პუბლიკაციაში.*

კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პუბლიკაცია (ელექტრონული ფორმით, ორიგინალი რედაქციით);

გ) საკონკურსოდ წარდგენილი პუბლიკაციის მოკლე აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობის/ღირებულების მითითებით, რის გამოც დაინტერესებული პირი თვლის, რომ გამოკვეთილია მისი დაჯილდოვების საფუძველი;

დ) დაინტერესებული პირის ბიოგრაფია (CV);

ე) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

ვ) თანაავტორ(ებ)ის წერილობითი თანხმობა/მხარდაჭერა მასზედ, რომ დაინტერესებულმა პირმა ჯილდოს მოსაპოვებლად წარადგინოს საკონკურსო განცხადება ჯილდოს მოსაპოვებლად და გამარჯვების შემთხვევაში იყოს დაჯილდოებული (თანაავტორობით შესრულებული პუბლიკაციის საკონკურსოდ წარდგენის შემთხვევაში);

ზ) ანგარიშის ნომერი გახსნილი საქართველოს ნებისმიერ ბანკში.